სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება N 112

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ” საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ერთის მხრივ, **ა(ა)იპ „ბათუმის გამწვანებისა და ლანდშაფტური დაგეგმარების სამსახური”** (შემდგომში “შემსყიდველი”) წარმოდგენილი მისი **დირექტორის თამაზ სალუქვაძის** სახით და მეორეს მხრივ, **შპს „გორგია“** (შემდგომში “მიმწოდებელი”) წარმოდგენილი **დირექტორის ხვიჩა პაპუნიძის** სახით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 წინამდებარე ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს **: თვითმჭრელის (CPV_44500000) სახელმწიფო შესყიდვა** (შემდგომში _ “საქონელი”):

#	საქონლის დასახელება	რაოდენობა (ცალი)	ერთეულის ფასი	სულ ჯამი
1	1,21-RAL-7024 4.8/70 თვითმჭრელი მეტალოკრამიტისათვის (20 ცალი)	4	5,50	22
2	1,21-RAL-3005 4.8/35 თვითმჭრელი მეტალოკრამიტისათვის (50 ცალი)	2	9,90	19,8
	სულ			**41,8**

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1.ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს **41,80 (ორმოცდაერთი ლარი და ოთხმოცი თეთრი) ლარს** (შემდგომში – „ხელშეკრულების ღირებულება“) დღგ-ს ჩათვლით.

3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

3.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.

3.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება იწარმოებს მიწოდებული საქონლის მიღება-ჩაბარების აქტისა და შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტების (ზედნადების ან/და ანგარიშფაქტურის) საფუძველზე.

3.3. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტზე შემსყიდველის მიერ ხელმოწერიდან 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში.

4. საქონლის მიღება-ჩაბარების წესი

4.1. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს ა(ა)იპ „ბათუმის გამწვანებისა და ლანდშაფტური დაგეგმარების სამსახურის“ მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - მატერიალურ ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი გიორგი ანანიძე.

4.2. საქონელი ჩაითვლება მიწოდებულად მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

5. საქონლის მიწოდების ადგილი და ვადა

5.1. საქონლის მიწოდების ადგილია: ქ. ბათუმი შავშეთის №27;

5.2. საქონლის მიწოდება განხორციელდება არაუგვიანეს 2022 წლის 25 ნოემბრისა

6. მხარეთაუფლება–მოვალეობები

6.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.

6.2. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

6.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

6.4. მიმწოდებელი ვალდებულია მიაწოდოს საქონელი იმ ვადაში, რომელიც მითითებულია ხელშეკრულების 5.2 პუნქტში.

6.5. მიმწოდებელი ვალდებულია შეტყობინების მიღებისთანავე განახორციელოს წუნდებული საქონლის შეცვლა შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯის გაწევის გარეშე.

7. პირგასამტეხლოხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

7.1. ხელშეკრულების პირობების არაჯეროვანი შესრულებისათვის (მათ შორის ვალდებულების შესრულების ვადის გაშვების შემთხვევაში), მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შესასრულებელი (დარჩენილი) ვალდებულების შესაბამისი ღირებულების 0,02%-ის ოდენობით.

7.2. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

8. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

8.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%–ზე მეტი ოდენობით.

8.4. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

8.5. მხარე ვალდებულია 8.4. პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.

8.6. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

9. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

9.1. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

10. დაუძლეველი ძალა

10.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია აუცდენელი დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

11.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2022 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

12. მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი

ა(ა)იპ -"ბათუმის გამწვანებისა და ლანდშაფტური დაგეგმარების სამსახური"

მისამართი: ქ.ბათუმი, გენ. ა. აბაშიძის ქ.№14
საიდენტიფიკაციო კოდი: 445391941
ტელეფონი: (0422) 29 43 49
საბანკო რეკვიზიტები:
ხაზინის ერთიანი ანგარიში
მიმღების ბანკი- ერთიანი ხაზინა
ბანკის კოდი: TRESGE22
ანგარიშის №: GE62TB7901736010100015
სახაზინო კოდი 740727499

დირექტორი: თამაზ სალუქვაძე

მიმწოდებელი

შპს „გორგია“

მისამართი: საქართველო, ბათუმი, შავშეთის №27
საიდენტიფიკაციო კოდი: 245621288
ტელეფონი: (995)0322960960;
საბანკო რეკვიზიტები:
სს „თიბისი ბანკი“

ბანკის კოდიTBCBGE22:
ანგარიშის № GE62TB1007536020100008

დირექტორი: ხვიჩა პაპუნიძე

GORGIA

Подписано цифровой подписью: GORGIA
Дата: 2022.11.01 13:13:18 +04'00'